



იმისთანა წმინდა საღმრთო, ბოგობილ ბუქ-
უბი სიფყავა, ცუდილებით და ჭიბრით ბუბ-
თის გაფანა ყულა უჯარბისთაჲ უსამაგლესია.



გაგონის 1918 წლის
25 ივლისიდან

რესპუბლიკა

შაბათი, 8 სექტემბერი. 2018 წ. №176-177 (8577-8578)

ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru

ფასი 50 თეთრი.



სა-მგლე ნასიონალებს, სხადია, პრეზიდენტად სა-ლომა თვალში ③ არ მოსდით!

ტელეკომპანია „იზარია“ ხელისუფლებას წინააღმდეგ აღანაშულებს



იზარია

ტელეკომპანიის მტკიცებით, ხელისუფლებამ მათ საგანგებოდ შეუწყვიტა დაფინანსების წყაროები. მათივე განცხადებით, ხელისუფლებამ გააჩერა „ომეგა“ ჯგუფში შემავალი სანარმოები, საიდანაჯ ტელევიზია ფინანსდებოდა. როგორც ტელეკომპანიის დამფუძნებელი ზაზა ოქუაშვილი აცხადებს, ყველას ვალია, თავისუფალი ტელევიზია დავიცვათ.

„ეს არის ყველა ქართველისთვის, ყველა მოქალაქისთვის აუცილებელი და ყველაზე აუცილებელი მისია, რომ დავიცვათ თავისუფალი მედია, თავისუფალი ტელევიზია. არ მივცეთ საშუალება არავის, არცერთ ბანდას, რაც არ უნდა მას სახელმწიფო და თანამდებობა ერქვას, არ მივცეთ საშუალება, რომ ხელი აღმართოს თავისუფალ მედიაზე.“

უხილავი ძალები აღარ იქნებიან. მე გავდივარ კონსულტაციას უცხოეთში, რომ არ გავითვალისწინო, როგორც ადგილობრივი ადვოკატები მეუბნებიან, საქართველოს რეალობა და ახლა გავითვალისწინებ უცხოურ რეალობას, თუ არის რაიმე შევლა, როცა ხელი აღმართულია, ძალა აღმართულია, ბანდისმიერი კრიმინალური ძალა, თავისუფალი მედიის, თავისუფალი ტელევიზიის და ბიზნესის წინააღმდეგ, წყაროს წინააღმდეგ, რომელიც მას ასაზრდოებს“, – განაცხადა ოქუაშვილმა.

ლევან იზორია: ძალისხმევას არ დაპიშურებთ, რომ გავხდეთ ნატოს წევრი ქვეყანა!



ძალისხმევას არ დავიშურებთ, რათა მივალწიოთ სტრატეგიულ მიზანს და გავხდეთ ნატოს წევრი ქვეყანა, – ასე გამოცხადდა საქართველოს თავდაცვის მინისტრი სამხრეთ კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში ნატოს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლის ჯეიმს აპატურაის განცხადებას საქართველოს შეიარაღებულ ძალებთან დაკავშირებით. ლევან იზორიას განმარტებით, თავდაცვის უწყებაში გატარებული რეფორმების შედეგად ქვეყნის შეიარაღებული ძალები ნატოსთან უფრო თავსებადია და მზადყოფნის მაღალი ხარისხით გამოირჩევა.

მწვავე გადანაცვლებების, თუმცა, აუცილებელი ტრანსფორმაციის შედეგად, მივიღეთ ნატოსთან უფრო თავსებადი და მზადყოფნის უფრო მაღალი ხარისხით გამოირჩეული შეიარაღებული ძალები. ჩვენი განვითარების დინამიკას სწორი მიმართულება აქვს და ძალისხმევას არ დავიშურებთ თქვენთან ერთად, რომ მივალწიოთ სტრატეგიულ მიზანს, გავხდეთ ნატოს წევრი ქვეყანა. მზადყოფნის გასაძლიერებლად, ჩვენს პარტნიორებთან ერთად, გავაკეთებთ ყველაფერს. გენერალური შტაბის უფროსთან ერთად მოვისმინე ამერიკელი პოლკოვნიკის შეფასება, რომელიც აკვირდებოდა საერთაშორისო სწავლება NOBLE PARTNER-ის მიმდინარეობას, მან აღნიშნა, რომ სულ რაღაც 2-3 წლის განმავლობაში ჩვენს შეიარაღებულ ძალებს აქვს სრულიად სხვა რეალობა, რომელიც სიამაყის სა-

ფუძველს გვაძლევს. მინდა, თქვენთან ერთად, მაგალითად ვუთხრა ჩვენს მთავარ სტრატეგიულ პარტნიორს ამერიკის შეერთებულ შტატებს, მის ექსპერტებს, ოფიცრებს, ნატოს წევრ ქვეყნებს, რომლებიც აქტიურად არიან ჩართულნი ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის ფარგლებში ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გაძლიერების საქმეში. მათი ძალისხმევის გარეშე ჩვენ ამგვარ წარმატებას ვერ მივალწევდით“, – განაცხადა საქართველოს თავდაცვის მინისტრმა აღმოსავლეთ სარდლის უფლებამოსილების გადაბარების ცერემონიაზე.

პრემიერს და სპრტაშორისო საოპერო ფესტივალი ⑥ ქუთაისის ოპერის თეატრში

რა პოტენციური აქვს სათავგადასავლო ტურიზმს იმერეთში? ⑧

„პარისუნას ზემოქმედების ქვეშ მანქანის მარტოხანს მძღოლებს დასჯის პროცესი რთული იქნება, რადგან პარისუნა შარღვი ერთი თვე ჩანს“ ⑤

რამაზ საყვარელიძე:



ქართულები, ქირითაღად, იხ მოტივით ④ დალატობდნენ სამშობლოს, რომ მტერი ძლიერია...

100 წლის გაზეთი თქვენს დახმარებას ითხოვს

დემოკრატიულ საქართველოსთან ერთად დაბადებულ, დღეს 100 წლის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკას“ ფინანსურად უკიდურესად გაუჭირდა. სწორედ ამიტომ ითხოვს გაზეთი მამულიშვილთა უანგარო მხარში დგომას, ხელის გამართვას. ძვირფასო ბიზნესმენებო, გაზეთის დახმარების მსურველნი, ნებისმიერი ოდენობის თანხა შეგიძლიათ, ჩაურიცხვოთ რედაქციას შემდეგ ანგარიშზე: №GE19TB7601536020100009. (შპს „ახალი საუკუნე“).

მამუკა ბახტაძე: ჩვენ გვჭირდება ევროპელი პარტნიორების მტკიცე მხარდაჭერა იმ ძირითად საკითხებში, რომელიც აუცილებელია საქართველოს წინსვლისთვის, დემოკრატიის განვითარებისთვის, კეთილდღეობის მიღწევისთვის

ჩვენ გვჭირდება ევროპელი პარტნიორების მტკიცე მხარდაჭერა იმ ძირითად საკითხებში, რომელიც აუცილებელია საქართველოს წინსვლისთვის, დემოკრატიის განვითარებისთვის, კეთილდღეობის მიღწევისთვის და ასევე ჩვენი მთავარი მიზნისთვის, ევროკავშირის სრულყოფილი წევრობისთვის, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ სასტუმრო „რუმსში“, „პროგრესული ალიანსის“ მიერ ორგანიზებულ კონფერენციაზე განაცხადა. მისი თქმით, საქართველოს ამბიციური მიზნები აქვს, რომ იყოს მონივრულად აღგზნებული დემოკრატიისა და გამჭვირვალობის კუთხით.



„ჩვენ გვჭირდება ევროპელი პარტნიორების მტკიცე მხარდაჭერა იმ ძირითად საკითხებში, რომელიც აუცილებელია საქართველოს წინსვლისთვის, დემოკრატიის განვითარებისთვის, კეთილდღეობის მიღწევისთვის და ასევე ჩვენი მთავარი მიზნისთვის, ევროკავშირის სრულყოფილი წევრობისთვის. ჩვენ ძალიან მტკიცედ ნაბიჯები გადავდგით დემოკრატიის მშენებლობისთვის. სწორი შემთხვევაში ჩვენ ეს თამასა კიდევ უფრო მაღლა ავწიებთ. ამის მაგალითად შემიძლია დავასახელო ის უნიკალური შემთხვევა, რომელიც გვქონდა

მიმდინარე წლის პირველ კვარტალში, როდესაც საქართველო მოხვდა საუკეთესო 5 ქვეყანას შორის, რომლის საჯარო ფინანსების გამჭვირვალობა არის საუკეთესო. სწორედ ასეთი ამბიციური მიზნები გვაქვს ჩვენ, რომ დემოკრატიისა და გამჭვირვალობის კუთხით, ვიყოთ მსოფლიოს მონივრულად აღგზნებული“, — განაცხადა ბახტაძემ.

მისივე თქმით, საქართველო მტკიცედ ადგას დემოკრატიისა და დიდი ევროპული ოჯახისკენ მიმავალ გზას.

„ამ გზაზე უზრუნველყავით ევროკავშირთან მჭიდრო თანამშრომლობა. მე არაერთხელ განვაცხადე და კიდევ ერთხელ მინდა ხაზი გავუსვა ძალიან მნიშვნელოვან გარემოებას — ჩვენთვის ევროპული ოჯახი არ არის პოლიტიკური ან გეოპოლიტიკური არჩევანი, ეს არის ჩვენი ცივილიზაციური არჩევანი, ეს არის ის ოჯახი, ის სივრცე, სადაც ჩამოყალიბდა ქართული სახელმწიფოებრიობა და ამ საერთო ცივილიზაციის შექმნაში ჩვენ შევიტანეთ მნიშვნელოვანი კონტრიბუცია. სწორედ ევროპა და ევროკავშირი არის ის ერთადერთი ოჯახი, სადაც საქართველო შესაძლოა, დაბრუნდეს“, — აღნიშნა ბახტაძემ.

მაინს, ვის დაუჭირებს მხარს „ოცნება“?!

პოლიტსაბჭოს სხდომა, საგარეუდოდ, კვირას გამოართვა და ამ შესვენებაზე ჩამოვყალიბებთ პოზიციას საპრეზიდენტო კანდიდატთან დაკავშირებით, — განაცხადა პარლამენტის პირველმა ვიცე-სპიკერმა თამარ ჩუგოშვილმა ჟურნალისტებს.

„ინურება საპრეზიდენტო კანდიდატების რეგისტრაციის ვადა, ამიტომ, საგარეუდოდ, კვირას იქნება პოლიტსაბჭოს სხდომა და ამ შესვენებაზე ჩამოვყალიბებთ პოზიციას. როგორც იცით, პოზიციები იყო სხვადასხვაგვარი ამ არჩევნებთან დაკავშირებით, ამიტომ პოლიტიკური საბჭოს შესვენებაზე გადაწყვეტით, რა ფორმით ვერთვებით საარჩევნო კამპანიაში. ჩვენ ვთქვით, რომ როდესაც ამოინურება კანდიდატების რეგისტრაციის ვადა და როდესაც ვნახავთ, ვინ არის დარეგისტრირებული, მაშინ მივიღებთ გადაწყვეტილებას. როგორც გვქონდა დაგეგმილი იმ გეგმას მიყვებით“, — განაცხადა ჩუგოშვილმა. კითხვაზე, როგორ მოხდება მხარდაჭერილი კანდიდატის ფინანსური მხარდაჭერა, თამარ ჩუგოშვილმა განმარტა, რომ ყველაფერი კანონის ფარგლებში იქნება.

„ქართული ოცნების“ კანდიდატი მე ვიქნები?!“

„ქართული ოცნება“ ეძებს ახალ, დამოუკიდებელ კანდიდატს და, ვფიქრობ, ეს კანდიდატი მე ვიქნები, — აცხადებს რეჟისორი გიორგი შენგელაია, რომელიც საპრეზიდენტო არჩევნებში, დამოუკიდებელ კანდიდატად იყრის კენჭს. შენგელაია აპირებს, დაესწროს „ოცნების“ პოლიტსაბჭოს სხდომას და მათ საკუთარი პროგრამა წარუდგინოს.



„ბიძინა ივანიშვილი, რომელიც არის „ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭოს თავმჯდომარე, ვიცი კულუარებიდან, რომ ჩემ პოზიციას იზიარებს. მე დავესწრები „ქართული ოცნების“ პოლიტიკურ სხდომას, რომელიც 8 სექტემბერს იქნება და მათ განვუცხადებ ჩემს პროგრამას. მგონია, რომ შევთანხმდებით. ჩემი პოლიტიკაში წასვლა განაპირობა იმან, რომ პოლიტიკურ სპექტრში ვერ ვხედავ ძლიერ პიროვნებას. მე, როგორც კინორეჟისორი, მაქვს ამხელა პრაქტიკა და ორგანიზების ნიჭი. ჩემი დევიზი არის „ანმყო შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავლისა“.

აფხაზეთსა და ცხინვალში ჰუმანიტარული კატასტროფაა

საპარტიველოს პრემიერ-მინისტრი რუსეთის მიერ ოკუპირებულ რეგიონებში, აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში შექმნილ ვითარებას ჰუმანიტარულ კატასტროფას უწოდებს. როგორც ბახტაძემ სასტუმრო „რუმსში“, „პროგრესული ალიანსის“ მიერ ორგანიზებულ კონფერენციაზე განაცხადა, ომამდე ცხინვალის რეგიონში 120 000 ადამიანი ცხოვრობდა, დღეს კი ეს რიცხვი 20 000-ს შეადგენს, ხოლო აფხაზეთში 500 000-იანი მოსახლეობა 120 000-მდე შემცირდა.

რეგიონში არ არის დარჩენილი 20 000 ადამიანზე მეტი, აქედან 7 000-ს შეადგენენ რუსეთის ჯარის სამხედრო მოსამსახურეები. ეს არის ძალიან მტკივნეული გამოწვევა. აფხაზეთშიც, სამწუხაროდ, იგივე სიტუაცია გვაქვს. ომის პერიოდამდე მოსახლეობა შეადგენდა 500 000-ზე მეტს, დღეს კი ამ ტერიტორიაზე 120 000 ადამიანზე მეტი არ ცხოვრობს. ჩვენი პასუხი ამ ყველაზე მტკივნეულ გამოწვევაზე არის მშვიდობა და განვითარება, დემოკრატიული ინსტიტუტის მშენებლობა და ისეთი სივრცის შექმნა, სადაც ყველა ადამიანი შეძლებს თავისი ნიჭისა და შესაძლებლობის რეალიზაციას ჩვენს საერთო სამშობლოში. თუმცა, ბუნებრივია, ამ გზაზე ჩვენ გვჭირდება ჩვენი მეგობრების დახმარება და ჩვენ ვიცით, თქვენ მტკიცედ დაგხმარებთ ქართული დემოკრატიის გვერდით“, — მიმართა კონფერენციის მონაწილეებს ბახტაძემ.

ოკუპირებულ ახალგორის მცხოვრებნი აღშფოთებული არიან იმ წესით, რომელიც საბავშვო ბაღში მომუშავე პერსონალს ერთმანეთში და აღსაზრდელებთან ქართულად ლაპარაკს უკრძალავს. ახალი წესი საბავშვო ბაღში ახალმა დირექტორმა შემოიღო.



ქართულის გაკვეთილი

ხალხი აღშფოთებული და თან გაკვირვებულია. რაიონში ცხინვალის იურისდიქციის ქვეშ ყოფნის 10 წლის მანძილზე ქართულად საუბრის აკრძალვა ხუმრობითაც კი არაღივსებია...

„ხალხი აღშფოთებული და თან გაკვირვებულია. რაიონში ცხინვალის იურისდიქციის ქვეშ ყოფნის 10 წლის მანძილზე ქართულად საუბრის აკრძალვა ხუმრობითაც კი არაღივსებია. კონსტიტუცია ხალხს აძლევს მშობლიურ ენაზე — ამ შემთხვევაში ქართულად — ურთიერთობის გარანტიებს. მე ჩემს მაგალითზე

შემიძლია ვთქვა, რომ დეპუტატები, მინისტრები და უზრუნველყოფის თანამშრომლები, ვისთანაც ურთიერთობა მიწევს, როცა იგებენ, რომ ქართული ვარ, ჩემთან ქართულად ინყებენ ლაპარაკს. ზოგ შემთხვევაში ეს იმიტომ ხდება, რომ მე საუბარი გამომავალი ვარ, ან უკეთ გავაგებინო, რისი თქმა მინდა. ზოგჯერ კი ეს ხდება სწორედ პატივისცემისა და კეთილგანწყობის დემონსტრირების მიზნით.

როცა ჩვენთან პრეზიდენტები ჩამოდიოდნენ, ისინიც ადგილობრივ მოსახლეობას ქართულად ესაუბრებოდნენ. ასეთ ფონზე, გაუგებარია, რაში დასჭირდა დირექტორს ამის გაკეთება. მაკვირვებს ასეთი დამოკიდებულება“, — უთხრა ახალგორის მკვიდრმა, სამოქალაქო აქტივისტმა თამარ მეარაყიშვილმა „ეხო კავკასიას“ კორესპონდენტს მურატ გუგუშვილს, რომლის თანახმად, დეფაქტო განათლების სამინისტროს სკოლამდელ დანესებულებაში ქართულად საუბრის შეზღუდვის განკარგულება არ გაუცია და საბავშვო ბაღში მომხდარიც, როგორც ჩანს, ადგილობრივი ინიციატივაა.

ცხინვალის ახალგორის რაიონში ხელმძღვანელ თანამდებობებზე, ტრადიციულად, ქართულის მცოდნე პირებს გზავნიან, — აღნიშნულია სტატიაში, რომლის თანახმად, ბოლო დროს ალაგ-ალაგ მაინც ხდება ის, რომ ჩინოვნიკები დემონსტრაციულად უარს ამბობენ ქართულად საუბარზე. როგორც თამარ მეარაყიშვილმა უთხრა „ეხო კავკასიას“, ადგილობრივთა შეფასებით, ეს მხოლოდ და მხოლოდ პროვინციალიზმის, „დაბალი დონის“ მაჩვენებელია.

რაიონ „თავისუფლება“. მომზადებულია „ეხო კავკასიას“ მიხედვით.

რამაზ საყვარელიძე: ქართველები, ძირითადად, იმ პოტიოვით დალატობდნენ სამშობლოს, რომ მტარი კლიერია...



პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე თვლის, რომ საქართველოს ტერიტორიაზე უნდა აიკრძალოს იმ ადამიანთა და იმ ბიზნესმენების მოქმედება, რომლებიც წარსულში დაკავშირებული იყვნენ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფასთან. საყვარელიძის განცხადებით, საქართველოს ტერიტორიაზე დაუშვებელი უნდა იყოს ვლადიმერ პუტინის ფონდის მიერ დაფინანსებული ღონისძიებების გამართვა. დღეს რამაზ საყვარელიძე გვესაუბრება.

— რუსული პროპაგანდის წინააღმდეგ გამოდის თანამედროვე მსოფლიო, ამ ფონზე საქართველოში რუსეთის პრეზიდენტის მიერ დაფინანსებული მედიაფორუმი იმართება და მისი ერთ-ერთი ორგანიზატორი არის ქართული მედია. რამდენად პრობლემური და ამავე დროს სახიფათოა რუსეთის პრეზიდენტის მიერ დაფინანსებული ფორუმის გამართვა თბილისში?

— ამ ტიპის საყვედურს ანალოგიური მედიასაშუალებები და პოლიტიკოსებიც პასუხობენ იმით, რომ რუსეთი ოკუპანტია, მაგრამ მასთან თუ დიალოგი არ გვექნა, ეს ცუდია და ა.შ. რა თქმა უნდა, ეს არის დემაგოგია, მაგრამ, მეორე მხრივ, თვითონ სახელისუფლებო გუნდის უთავოლობაც არის. ეს ის სახელისუფლებო გუნდია, რომელიც დათანხმდა ოთხოზორია-ტატუნაშვილის სიის შექმნას, რაც იმას ნიშნავს, რომ ვინც ამ ტრაგედიაში მონაწილეობდა, მათ მიმართ რაღაცა ზომები უნდა განხორციელდეს. ყველაზე მეტად ამ ტრაგედიაში პუტინის ხელი ურევია და მის მიმართ არ უნდა იყოს სანქციები? სანქციებს შენ არ აწესებ და დასავლეთს აწვდი ინფორმაციას, რომ ეს შენ გააკეთეთ... კომიკური სიტუაცია გამოდის.

მარტო იმაზე არ უნდა იყოს აქცენტი, ვინ შევიდა და ვინ არა ოკუპირებულ ტერიტორიაზე, საერთოდ, მთლიანად კონტროლის ქვეშ უნდა იყოს ის ხალხი და, უპირველესად, რუსეთის პრეზიდენტი, რომელსაც საკმაოდ სერიოზული პასუხისმგებლობა ეკისრება საქართველოში მომხდარ ტრაგედიასთან დაკავშირებით. აი, ამას რატომ ვერ ახერხებს ქვეყანა, სწორედ ეს არის გაუგებარი.

როგორ ფიქრობთ, რა უშლის ქვეყანას ხელს იმაში, რომ გადადგას ეს ნაბიჯები, რა პოლიტიკური ჩანაფიქრი

შეიძლება ჰქონდეს ხელისუფლებას? მით უფრო, რომ ქვეყნის ხელისუფლებას აქვს პროდასავლური კურსი არჩეული, მაგრამ არის პრორუსული პოლიტიკური ძალები არსებული პრობლემა და მათ შორის წარმოდგენილი არიან საქართველოს პარლამენტში „პატრიოტთა ალიანსის“ სახით...

მე, მაგალითად, პოლიტიკურ ჩანაფიქრს ვერ ამოვიკითხავდი, იმიტომ, რომ ბევრ რამეში არის ხელ-ფეხშეკრული და თავისთვისაც ხშირად დგამს არახელსაყრელ ნაბიჯებს. ძირითადად, იმიტომ, რომ არ იცი, რა ხდება პოლიტიკაში, არა აქვს პოლიტიკური აღლო და ტემპერამენტი — მოდუნებული ხელისუფლებაა.

— ამ ვითარებაში გამოსავალი არის პრორუსული მედიასაშუალებების დახურვა?

— ითქვა კიდევ, რომ დახურვა გამოსავალი ვერ იქნება, რადგან რუსეთი სხვა საშუალებებს იპოვის, მაგრამ ის, რომ შენი ქცევა, როგორც ქვეყნისა, ლოგიკურად გასაგები იყოს, ამისთვის სულაც არ არის საკმარისი იმ ადამიანების არშეშვება, რომლებმაც ოკუპაციის შესახებ კანონი დაარღვიეს, რადგან, პრინციპში, ვინც ეს ტერიტორია დაგაკარგვინა, იმის ღონისძიებას არ კრძალავ და ეს ცოტა გაუგებარია. ის, რომ რუსეთის იმ წრეებს, რომლებიც შენი ინტერესების საწინააღმდეგოდ მოქმედებენ, არ ჩაატარებინო რაიმე სახის ღონისძიება, ამას რად უნდა მედიის აკრძალვა?!

როგორ ფიქრობთ, ამ შემთხვევაში რა მიზანი შეიძლება ჰქონდეს რუსულ მხარეს, რომელიც საქართველოში აწყობს ასეთი შინაარსის ფორუმს და რომლის მონაწილეები ამბობენ, რომ რუსეთი ოკუპანტი არ არის, ხოლო ამას ხელს უწყობს ქართული მედია? მეორე საკითხია, რამდენად გავლენიანია და რამდენად შეუძლია საზოგადოებრივი აზრის მობილიზება, მაგრამ ეს ვაზეთი გამოდის და მას ჰყავს თავისი მკითხველი და თავისი რესპონდენტებიც. მეჩვენება, რომ რუსეთს ძალიან შორს მიშვებული მიზნები არა აქვს. რუსულ პოლიტიკას დასჩემდა, რომ თვითონ აგრესია არის მათთვის სასიამოვნო რამ. რაც ახლა ხდება, ეს არის აგრესიის გამოხატულება. ოკუპაცია მოვახდინე? — კი, მოვახდინე; ოკუპაცია განვახორციელე? — კი განვახორციელე; შემრჩება? — კი შემრჩება. ეს ხომ დამცირებაა და ვფიქრობ, რომ ეს დამცირება არის ძირითადი მიზანი.

— პრობლემური და ამავე დროს საშიში რამდენად არის ამ სახის ფორუმი?

— საშიში არის იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ პოლიტიკაში ძალიან ხშირად გადაწყვეტი არის ხოლმე ძალიან. ქართველები ძირითადად იმ მოტივით დალატობდნენ სამშობლოს, რომ მტერი ძლიერია და რატომ უნდა შევაკლათ თავი. მტრის ძალის დანახვა ფსიქოლოგიური ომის ერთ-ერთი საშუალებაა. ის, რომ ოკუპანტმა ქვეყანამ შენს ტერიტორიაზე მედიაშოუ გამართა და ვერაფერი ვერ გააწვევს, ეს ძალის დემონსტრაციაა და აი, ამ დემონსტრაციით საქართველოში შეიძლება გამრავლდეს რუსეთის მხარდამჭერები. ამ მხრივ არის სახიფათო ის, რაც ახლა თბილისში ხდება.

— ერთია საზოგადოების პროტესტი, მაგრამ მეორეა, ლიბერალური პროდასავლური კურსის ფონზე რა უნდა გაკეთდეს სახელმწიფოს დონეზე ამ საფრთხის აღსაყვებად. როგორ ფიქრობთ, რუსეთი ამ სახის ღონისძიებებით ცდილობს ხელისუფლების პროვოცირებას?

— ერთი მხრივ ხელისუფლების პროვოცირებას და მეორე მხრივ ხელისუფლებას უნდა იყოს, სუსტი, უსუსური მხარის წარმოჩენას მოსახლეობის თვალში, რასაც ნაციონალები ეძახიან ხოლმე ამ ხელისუფლებას. რუსეთისა და ნაციონალების პოლიტიკური სტილი და მოქმედება ხომ ხშირად თანხვედრაშია ერთმანეთთან. ვიმეორებ, ეს ფსიქოლო-

გიური ომის სტილია. ქართულ ფილმშიც არის — „რუსი მოდის, რუსი მოდის“, ამით აშინებს მეტოქეს მეზობელი.

თუკი ძლიერ სამხედრო მუსიკას შეუძლია იმ შთაბეჭდილების შექმნა, რომ ძლიერი მეტოქე მოდის და ამითი შიშის გამოწვევა მოსახლეობაში, ძლიერი მეტოქის სურათის შექმნა რუსეთის მხრიდან შენივე ტერიტორიაზე ხომ იმ შედეგს მოგცემს, რომ შენი მოქალაქე არ იქნება შენდამი რწმენით განწყობილი, რომ შენ რაიმე შეგიძლია და ნებისმიერ შემთხვევაში იგივე რუსეთის მხრიდან აპყვება. თან, შენმა მოქალაქემ უნდა დაინახოს შენი ძალა, ისე არ გამოგყვება ბრძოლაში. ჯერჯერობით, გარდა ჩივილისა სხვა საპასუხო არაფერი ჩანს. აი, ეს მიმაჩნია დაუშვებლად.

ვისურვებდი, რომ შექმნილიყო ახალი დოკუმენტი აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ტერიტორიაზე შემსვლელის შემოღების აკრძალვის გარდა აიკრძალოს ყველა იმ ადამიანის მიერ დაფინანსებული ღონისძიება, რომელსაც რაიმე კავშირი აქვს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის რღვევასთან. ასეთი პირი უპირველესად არის ვლადიმერ პუტინი და, შესაბამისად, მისი ფონდის მიერ დაფინანსებული ღონისძიება დაუშვებელი უნდა იყოს ქართულ სინამდვილეში.

მით უფრო მედიისთვის და მე, როგორც ჟურნალისტი, არასოდეს არ მივიღებ ასეთ ღონისძიებაში მონაწილეობას.

ალმაშენებელს დიდგორის ომში ჯარი რომ მიჰყავდა, უკნიდან ზურგი ჩაუხერგა ამ ჯარს — გაიქცევიანო. წარმოიდგინეთ, რა კარგი აზრის იყო ქართველებზე. ალმაშენებელს იმისთვის ეცადა აბა, ქართველები როდის გახდებიან უფრო შეგნებული და ომისთვის როდის იქნებიან გამოსადეგი, ალბათ, ამას ვერც ვერასოდეს ელირსებოდა. მან მიიღო ძალისმიერი გადაწყვეტილება საიმისოდ, რომ უზრუნველყო ბრძოლის მოგება. აი, ასეთი ბრძოლის მოგების უზრუნველყოფისთვის საჭიროა ძალისმიერი გადაწყვეტილება, რომ საქართველოს ტერიტორიაზე აიკრძალოს იმ ადამიანთა და იმ ბიზნესმენების მოქმედება, რომლებიც წარსულში დაკავშირებული იყვნენ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფასთან, რად უნდა ამას დიდი ფილოსოფია?!

ესაუბრა
თამთა ძარჩავა

სარედაქციო ფოსტიდან
საქართველოს უგაღლეს სასამართლოს!
თქვენ სამართლიანად წარუდგინეთ სააკაშვილს ბრალდებები მთელ რიგ დანაშაულებზე. მაგრამ არა ყველაზე დიდ დანაშაულზე — 2008 წლის 7 აგვისტოს ცხინვალის დაბომბვაზე, საკუთარი ხალხის აწიკვებაზე, ასობით მსხვერპლზე. მოვითხოვთ თქვენგან დასაბუთებულ პასუხს.
ლონდა მღვივანი

კახეთში რთველი აქტიური ფაზაში შევიდა

7 სექტემბერის მონაცემებით, კახეთში 17 ათასამდე ტონა ყურძენი გადაამუშავებული, აქედან 10 ათას ტონამდე საფერავი, 4 ათას ტონამდე რქანითელი, 800 ტონამდე კახური მწვანე, დანარჩენი სხვადასხვა ჯიშის ყურძენია. მევენახეების შემოსავალმა 27 მლნ ლარს მიაღწია.

„კახეთში რთველი შეფერვების გარეშე მიმდინარეობს. ყურძნის გადაამუშავების დღეღამურმა მაჩვენებელმა 4 ათას ტონას მიაღწია, რაც იმას ნიშნავს, რომ რთველი აქტიურ ფაზაში შევიდა. ყურძნის კრეფის პროცესი კახეთის თითქმის ყველა მუნიციპალიტეტში დაიწყო, გარდა საგარეჯოსი, სადაც ტრადიციულად რთველი შედარებით მოგვიანებით იწყება“, — აღნიშნა რთველის საკოორდინაციო შტაბის უფროსმა, ლეონის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილემ ანდრო ასლანიშვილმა.
რთველი 2018-ის საკოორდინაციო შტაბი 20 აგვისტოს გაიხსნა. ამ დროისთვის შტაბში 135 კომპანიაა დარეგისტრირებული, რომლებიც ყურძნის გადაამუშავების პროცესში ჩაერთვება. ყურძენი უკვე გადაამუშავა 60-მდე ლეონის კომპანიამ.



რა პოტენსიალი აქვს სთავგადასავლო ტურიზმს იპარკით?



მიუხედავად იმისა, რომ ქუთაისის მსოფლიო-
ოში 5 უკველას ქალაქთა ნუსხაშია, იგი, და ზო-
გადად იმპარკით, ტურისტთა და საერთაშორისო
მოგზაურთა სიმრავლით არ გამოირჩევა.
სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცე-
ვებით, გასულ წელს საქართველოში შემოსული
უცხოელი ვიზიტორების მხოლოდ 5% ეწვია ქუ-
თაისს. არადა, როგორც კვლევები აჩვენებს, იმ-
ართის რეგიონს საკმაოდ მაღალი პოტენციალი
გააჩნია ტურიზმის განვითარებისთვის. კერძოდ,
საუბარია სთავგადასავლო ტურიზმის მიმარ-
თულებაზე, რომელიც, ფაქტობრივად, აუთოვი-
საბელია. რეგიონში ჩასული ვიზიტორები კი ხში-
რად, სწორედ ტურისტული მიმართულებების
გამრავალფეროვნებაზე საუბრობენ.

„კვლევები და სტატისტიკური მონაცემები ადასტუ-
რებს, რომ ტურიზმის განვითარების მიმართულებით სა-
ქართველოში და, მათ შორის, იმერეთში მრავალი გა-
მონევეა, განსაკუთრებით სთავგადასავლო ტურიზ-
მის მიმართულებით. იმერეთში არსებობს უამრავი უც-
ნობი ადგილი, სადაც შესაძლებელია, განვითარდეს სა-
თავგადასავლო ტურიზმის სხვადასხვა მიმართულებები,
რომელთა შესახებ არა მარტო უცხოელ ტურისტებსა
და მოგზაურებს, არამედ ადგილობრივ ვიზიტორებსაც
ნაკლები ინფორმაცია აქვთ. აღნიშნული ლოკაციების
შესახებ არასაკმარისი ინფორმაცია აქვთ თავად მუნი-
ციპალიტეტების სპეციალისტებსაც. მნიშვნელოვანია, მუ-
ნიციპალიტეტების ტურიზმის სპეციალისტები სრულ-



ყოფილად გაეცნონ მოკვლევულ ინფორმაციას იმერეთის
რეგიონში არსებული სთავგადასავლო ტურისტული
პოტენციალის მქონე ადგილების შესახებ,“ – აღნიშნუ-
ლია კვლევაში, რომელიც რეგიონულმა არასამთავ-
რობო ორგანიზაციამ ევროკავშირის პროექტის სა-
მოქალაქო საზოგადოება – მცირე და საშუალო ბიზ-
ნესის ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის მხარ-
დასაჭერად ფარგლებში მოამზადა და მას კონრად
ადენაუერის ფონდი, ეკონომიკური პოლიტიკის კვლე-
ვის ცენტრთან და ასოციაცია ათინათთან თანამშრომ-
ლობით ასორციელეს.

კვლევის პროცესში იმ პრობლემებთან ერთად, რო-
მელიც სთავგადასავლო ტურიზმის განვითარებას
უშლის ხელს, გამოვლინდა კონკრეტული ადგილები,
რომელთა სწორედ განვითარებაც რეგიონის ტურისტ-
ულ პოტენციალს მნიშვნელოვნად გაზრდის. ეს კი
პირდაპირ აისახება ადგილობრივი მოსახლეობის ეკო-
ნომიკურ მდგომარეობაზე.

ამ ტერიტორიების ჩამონათვალი არც ისე მცირეა:

ქუთაისი

ქუთაისი-მონამეთა-გელათის საფეხმავლო ბილიკი,
ქუთაისი-გელათი-ცუცხვათი საფეხმავლო ბილიკი;
რაფტინგი რიონზე, ჭომაში **კლდეზე ცოცვა**, ე.წ.
„პროპკის ტყე“ (საფეხმავლო, საცხენოსნო ტურები, ვე-
ლობილიკები).

წყალკუბი

რაფტინგი – სოფ.ონჭყეში მდინარე რიონი;
დაივინგი – სოფ. ყუმისთავი, სოფ. პირველ წყალ-
ტუბოში „კარიერის ტბა“, სოფ. ყუმისთავში „გაბზა-
რული ტბა“;
კლდეზე ცოცვა – სოფ. ზედა მექვენაში ხვამლის მთა;
ალპინიზმი – სოფ. ყუმისთავში მელაურის მთა,
სოფ. დერჩის მთა;

სამთო ველოტურიზმი – სოფ.ბანოჯაში სათაფლიის
მთა, სოფ. ქვილიშორი, სოფ. მელაურის;

საცხენოსნო ტურიზმი – სოფ. დერჩი, სოფ. მაღლაკი,
სოფ. საყულია, სოფ. ოფშკვითი, სათაფლიის ნაკრძალი,
სოფ. მელაურის;

კანიონინგი – სოფ. ყუმისთავში „გაბზარული ტბა“,
სოფ. ხომულში „დეუქის წყარო“, სოფ. ყუმისთავში „სე-
მის ხეობა“;

სპელეოტური – სოფ. ბანოჯაში ახლადმოჩენი-
ლი მღვიმე; სოფ. ხომულში „დეუქის წყაროსთან“ არ-
სებული მღვიმე; წყალტუბოს ცივი ტბის მღვიმე,
სოფ.ხომულში „დათვის მღვიმე“, სოფ. ყუმისთავის
„ლილიანის მღვიმე“, „ოფიჭოს მღვიმე“, „ოლ-
კოტას მღვიმე“, სოფ. მელაურში „ბღერის
მღვიმე“, „დიდელის მღვიმე“;

ზორბი – წყალტუბოში „ცივი ტბა“;
სოფ.გუმბრა.

სონი

საცხენოსნო ტური, საფეხმავლო ბილი-
კები, ჯიპ ტური ასხისა და თურჩუს მთაზე.

ბაღდათი

რაფტინგი – ხანისწყალზე;
კაიაკინგი – ხანისწყალსა და საკრაულაზე;
კანიონინგი – ხანისწყალზე;
ლაშქრობა – გულაშვანის ტყე-პარკში და
სხვა ღირსშესანიშნავ ადგილებში.

ზესტაფონი

საფეხმავლო, საცხენოსნო ბილიკების
მონყობის შესაძლებლობა ბუჯის ციხეზე,
ქვედა საქარას ტერიტორიაზე, სამშრალიას
მთაზე, კვალითში, სამცვერას ჩანჩქერზე, ზოვ-
რეთში. აქვე შესაძლებელია რაფტინგის და
კანიონინგის ორგანიზება (საჭიროებს შეს-
წავლას ზუსტი ინფორმაციისთვის).

თიარჯოლა

წყალნითლას კანიონში – **დაივინგი, კა-
ნიონინგი**; ალისუბნის კანიონში – **კანიონინ-
გი**; გოდოგანის ტყეში – **თრექინგი**; მღვიმეებში
– **სპელეოტურიზმი**; ქვეხუნას ხეობაში – **მე-
კლდეურობა, სპელეოტურიზმი კლდეზე ცოც-
ვა, ზიპლაინი, რაფტინგი**; ხეკვილიში – **საცხენოსნო ტუ-
რი, თრექინგი**; ქადაგიის რაფში – **დაივინგი**; წინწკი-
ლას პანორამაზე – **პარაპლანიტი გადმოსტომა**; უნაგირას
მთაზე – **ოფროუდი**.

სამგრაღია

საფეხმავლო ტურის მონყობა – სოფელ ვაზისუბნის
ტოლების ტელეფისის ციხი ნანგრევებზე;

საჩხერა

დევის ტბაზე შესაძლებელია მოეწყოს საცხენოს-
ნო ტურები, წყლის ველოსიპედებით ტური, სოკოს ტუ-
რი, საკალმახე მეურნეობა.

ჩიხურის ხეობაში(სოფ კვერეთი) – **თევზჭერის ტუ-
რი, კემპინგი**.

ძირულას ხეობაში – ბანაკების მონყობა, პიკნიკ-
ბისა და ბუნებაში დამსვენებელთა მოყვარულთათვის
სოკოს კრეფის შესაძლებლობით ტურის მონყობა
ჯრუჭულას ხეობაში – თევზჭერის ტური, კლდე-
ებზე ცოცვა, კემპინგი.

ბაიზული

ცუცხვათის მღვიმე – **საცხენოსნო საფეხმავლო ტუ-
რიზმი, სპელეოტურიზმი**;
ძმუისის კანიონი – **კანიონინგი, სპორტული თევზა-
ობა**;

წყალნითლას ხეობა – საფეხმავლო ტურიზმი
სხვადასხვა ტურისტული ობიექტების მიმართულებით;
ცხრაჯვარი – **საბანაკო, სთავგადასავლო, ექსტრე-
მალური, სპელეოტურიზმი, ალპინიზმი, საცხენოსნო სა-
ფეხმავლო ტურიზმი**. ასევე აქტიურ თემად მიიჩნევა **პა-
რაშუტით სტომები, რაც განხორციელდა გასულ წელს**;
ტყიბულის წყალსაცავზე ასევე შესაძლებელია სა-
ნაოსნო და სათევზაო ტურის მონყობა.

ჭიათურა

სოფ. ხრეთი – **საცხენოსნო ტურიზმი, კანიონინ-
გი, ჯომარდობა, ალპინიზმი**;

სოფ.კაცხი – **მეკლდეურობა, საცხენოსნო ტურიზ-
მი, ველოსპორტი**;

სოფ. მღვიმევი – **სპელეოტურიზმი**;

სოფ. მანდაეთი – **სპელეოტურიზმი, კანიონინგი
საცხენოსნო ტურიზმი**;

სოფ. ვაჭევი – **სპელეოტურიზმი, კანიონინგი, მე-
კლდეურობა**;

ჭიათურა – **მეკლდეურობა, ზიპლაინები, საბაგი-
როვითი სეირნობა**.

ხარაგაულში შესაძლებელია ტურიზმის სახე-



ობიდან განვითარდეს სთავგადასავლო და ავ-
როტურიზმი, ასევე სპორტული თევზაობა, რაზეც
მოთხოვნა იზრდება.

ვაიი

მთებში ლაშქრობების მონყობა, დუცხუნის კანი-
ონში კანიონინგის განვითარება.

„იმპარკის რეგიონში კვლევის შედეგად
მიღებული მიგნებები სასარგებლო იქნება
როგორც ცენტრალური და ადგილობრივი
მთავრობის, ასევე ტურისტული კომპანი-
ებისა და სამოქალაქო საზოგადოებრივი
ორგანიზაციებისთვის, რათა ამ კვლევაზე
დაყრდნობით მომავალში დაგეგმონ თავი-
ანთი საქმიანობა, ხოლო შეუშავებული რე-
კომენდაციები ხელს შეუწყოს სთავგადა-
სავლო ტურიზმის განვითარებას“.

კომენტარი



ინფორმაცია მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის საფასურის შესახებ

„მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის ფასის შესახებ“ ინფორმაცია წარმოადგენს საცალო მომხმარებლისათვის (მოსახლეობისა და განაწილებულ ქსელზე მიერთებული სხვა მომხმარებლისათვის) ბუნებრივი გაზის ფასის შეთავაზებას (ოფერტს) დამატებით, განსაკუთრებული პირობების გარეშე, „ბუნებრივი გაზის მიწოდებისა და მოხმარების წესების“ შესაბამისად. თქვენი (მომხმარებლის) მიმდინარე სამომხმარებლო ტარიფი სხვადასხვა კომპონენტებთან ერთად შედგება მიწოდებლისა და განაწილების ლიცენზიატის მომსახურების კომპონენტებისაგან. მომხმარებელს, სურვილის შემთხვევაში, შეუძლია აირჩიოს და ბუნებრივი გაზის შესყიდვაზე გააფორმოს ხელშეკრულება იმ მიმწოდებელ (ბუნებრივი გაზის გამყიდველთან), რომელიც უკეთეს პირობებს შესთავაზებს (მიუხედავად იმისა, ეწვეა თუ არა აღნიშნული მიმწოდებელი მისთვის ბუნებრივი გაზის განაწილების საქმიანობას). ბუნებრივი გაზის განაწილებელი ქსელის მომსახურე კომპანიის (განაწილების ლიცენზიატის) არჩევა არ ხდება. მიმწოდებლის არჩევისა და ხელშეკრულების

გაფორმების შემდეგ, მიმწოდებელი (ბუნებრივი გაზის გამყიდველი) თვითონ უზრუნველყოფს ბუნებრივი გაზით თქვენს მომარაგებას იმ განაწილების ლიცენზიატის მეშვეობით, რომელიც ფლობს განაწილების ქსელს. განაწილების ლიცენზიატი ვალდებულია ხელი შეუწყოს მომხმარებელსა და ნებისმიერ გაზის მიმწოდებელს შორის ურთიერთობას. თუ თქვენს მოთხოვნებს სრულად აკმაყოფილებს იმ მომსახურე კომპანიასთან (მიმწოდებელთან) ურთიერთობა, რომელიც ამჟამად გაწვდით ბუნებრივ გაზს (ახდენს ქვითრის გამოწერას არსებული, შეთანხმებული ფასით), წინამდებარე ინფორმაცია არ წარმოადგენს არსებული ურთიერთობების გადახედვის საფუძველს. აღნიშნული შეთავაზების საბოლოო ფასის განსაზღვრისთვის, ცხრილი №1-ში თქვენთვის სასურველი მიმწოდებლის შეთავაზებულ ფასს ემატება თქვენი განაწილებელი ქსელის მომსახურე განაწილების ლიცენზიატის განაწილების ან გატარების ტარიფი (იხ. შენიშვნა*), შეთავაზება ძალაშია ამავე ფორმით სხვა შეთავაზებამდე.

1. საცალო მომხმარებელზე მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის შესახებ ინფორმაცია 2019 წლისთვის

ცხრილი №1

№	ბუნებრივი გაზის მიმწოდებელი	იურიდიული მისამართი	ცხელი ხაზის ტელ. ნომერი, მობ. ნომერი, ელ. ფოსტა	საცალო მომხმარებელზე მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის წლიური მოცულობა (კუბ.მ.)	**მომხმარებელი ბუნებრივი გაზის შეთავაზებული ფასი (დღგ-ის გარეშე თეთრი/კუბ.მ.) მომხმარებელთა კატეგორიების მიხედვით
ა	ბ	გ	დ	ე	ვ
1	სს „სოკარ ჯორჯია გაზ დისტრიბუშენ“	ქ.თბილისი, ქიხიყის ქ. №13	0(32) 2 54 94 30 sggd@socar.ge	არასაყოფაცხოვრებო - 6 862 000	არასაყოფაცხოვრებო - 66.32 - 71.47
2	შპს „ჯ.ი. თრეიდინგი“	ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, კამანის 1	595 22 11 00	არასაყოფაცხოვრებო - 5 500 000	არასაყოფაცხოვრებო - 63.74
3	შპს „ვატრანსგაზ-თბილისი“	მიცკევიძის ქ.№18ა	114 0(32) 240 40 04 faqs 0(32) 237 64 93 ტელ.0(32)237 63 80 public@ktg-tbilisi.ge	საყოფაცხოვრებო - 508 000 000 არასაყოფაცხოვრებო - 185 000 000	საყოფაცხოვრებო - 28.634 არასაყოფაცხოვრებო - 43.028 - 73.029
4	შპს „სოკარ ჯორჯია გაზი“	ქ. თბილისი, 300 არაგველის ქ.№24	16 114 socargaz@socar.ge	საყოფაცხოვრებო - 440 000 000 არასაყოფაცხოვრებო - 130 000 000	საყოფაცხოვრებო - 26.381 - 28.634 არასაყოფაცხოვრებო - 53.202-62.822
5	სს „საკორგაზი“	ქ. თბილისი, ქიხიყის ქ. №13	16 114 sakorgazi@socar.ge	საყოფაცხოვრებო - 9 500 000 არასაყოფაცხოვრებო - 3 700 000	საყოფაცხოვრებო - 26.381-41.82 არასაყოფაცხოვრებო - 58.524-68.339
6	სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“	ქ.თბილისი, ჭავჭავაძის ქ.№74ბ	ცხელი ხაზის ტელ. ნომერი: *1000; 577 21 22 79 office@wissol.ge	საყოფაცხოვრებო - 11 500 000 არასაყოფაცხოვრებო - 3 300 000	საყოფაცხოვრებო - 28.634 არასაყოფაცხოვრებო - 76.072
7	სს „ენერგოკავშირი“	ქ. თბილისი, მუხიანის, I მ/რ, კორპ. №13	0(32) 264 28 69 info@energokavshiri.ge	საყოფაცხოვრებო - 10 800 000 არასაყოფაცხოვრებო - 800 000	საყოფაცხოვრებო - 28.634 არასაყოფაცხოვრებო - 68.33
8	შპს „გოგოჭური და კომპანია“	გარდაბანი, სოფ. გამარჯვება	592 80 40 10 venera- venera1@gmail.ru	არასაყოფაცხოვრებო - 3 500 000	არასაყოფაცხოვრებო - 87.71
9	შპს „არზულ-გაზი“	გარდაბნის რ-ნი, სოფ. ვახტანგისი	599 16 03 56	საყოფაცხოვრებო - 450 000 არასაყოფაცხოვრებო - 25 000	საყოფაცხოვრებო - 28.634 არასაყოფაცხოვრებო - 66.161
10	სს „სახერეგაზი“	ქ. საჩხერე, თამარ მეფის ქ. ჩიხი №8	0(435) 2 51 15; 514 11 22 11 sachxeregazi@yahoo.com	საყოფაცხოვრებო - 5 425 000 არასაყოფაცხოვრებო - 2 300 000	საყოფაცხოვრებო - 28.634 არასაყოფაცხოვრებო - 82.493
11	შპს „გამა“	ქ.თბილისი, კახეთის გზატკეცილი №67	0(32)224 25 90. info@gamagaz.ge	არასაყოფაცხოვრებო - 1 500 000	არასაყოფაცხოვრებო - 76.88
12	შპს „ყამარი მ“	ქ. თბილისი, მუხიანის 2, გამარჯვების ქ. №74	0(790) 88 59 99 551 00 00 58 yamarim@mail.ru	საყოფაცხოვრებო - 3 450 000 არასაყოფაცხოვრებო - 150 000	საყოფაცხოვრებო - 26.477 არასაყოფაცხოვრებო - 72.74
13	შპს „ვარკეტილაირი“	ქ.თბილისი, რაფიელ დვალის ქ №3	(032)227 50 40 (032) 27 50 62 varketilairi@gmail.com	საყოფაცხოვრებო - 16 000 000 არასაყოფაცხოვრებო - 1 000 000	საყოფაცხოვრებო - 28.634 არასაყოფაცხოვრებო - 75.44
14	შპს „დიდი დიგომი“	ქ.თბილისი, დიდი დიგომი მირიან მეფის ქ. №11	0(32) 253 34 36, info@di-di-digomgaz.ge	საყოფაცხოვრებო - 12 000 000 არასაყოფაცხოვრებო - 800 000	საყოფაცხოვრებო - 27.432 არასაყოფაცხოვრებო - 82.156
15	შპს „ტაბა“	ქ.თბილისი, ტაბაგაძის ქ.	ცხელი ხაზის ტელ. ნომერი: 0790 10 04 04; 577 99 88 99 info@tabagas.com	საყოფაცხოვრებო - 1 300 000 არასაყოფაცხოვრებო - 70 000	საყოფაცხოვრებო - 28.634 არასაყოფაცხოვრებო - 77.714
16	შპს „დი-ვი-ეს“	გარდაბნის რ-ნი, სოფ. ყარაჯალა	577903509 mkiladze@cgz.ge	საყოფაცხოვრებო - 14 000 არასაყოფაცხოვრებო - 1 500 000	საყოფაცხოვრებო - 26.382 არასაყოფაცხოვრებო - 71.0-83.0
17	შპს „ენერგია +“	ქ. ქუთაისი, ზ.გამსახურდიას ქ №58	551 15 64 51	არასაყოფაცხოვრებო - 3 000 000	არასაყოფაცხოვრებო - 73.7
18	შპს „გასკოპი“	სენაკი, წმინდა ნინოს ქ. №1	114; 0(32) 219 38 80 (ქოლ ცენტრი); 0(413)22 15 70; 599 74 02 90; 555 49 44 55; gaskoplusi@gmail.com	საყოფაცხოვრებო - 3 000 000 არასაყოფაცხოვრებო - 1 500 000	საყოფაცხოვრებო - 26.382 არასაყოფაცხოვრებო - 82.483-95.449
19	შპს „აკრიანი 2006“	გარდაბანი, სოფ. მარტყოფი	599 14 17 45	საყოფაცხოვრებო - 1 800 000 არასაყოფაცხოვრებო - 55 000	საყოფაცხოვრებო - 26.382 არასაყოფაცხოვრებო - 72.145
20	შპს „ჩირადანი XXI საუკუნე“	ქ. თბილისი, ქებურიას ქ.№59	0(32) 254 12 37 chiragdani21@mail.ru	საყოფაცხოვრებო - 4 200 000 არასაყოფაცხოვრებო - 220 000	საყოფაცხოვრებო - 27.432 არასაყოფაცხოვრებო - 63.89
21	შპს „ეს ჯი გაზ-კომპანი“	ქ. ახალქალაქი, თავისუფლების ქ.№100	(0362) 22 32 44 lt.d.sjgascompany@gmail.com	საყოფაცხოვრებო - 20 000 000 არასაყოფაცხოვრებო - 3 500 000	საყოფაცხოვრებო - 26.382 არასაყოფაცხოვრებო - 90.0 - 110.0
22	შპს „ჩირადანი“	ლაგოდეხი სოფ. თელა	599 91 38 93	საყოფაცხოვრებო - 270 000	საყოფაცხოვრებო - 26.382
23	შპს „ვაკე“	ქ. თბილისი ელ.ახვლედიანის ქ. №30	591 25 18 52 ltdvake@mail.ru	საყოფაცხოვრებო - 896 444 არასაყოფაცხოვრებო - 132 260	საყოფაცხოვრებო - 31.669 - 33.97 არასაყოფაცხოვრებო - 83.58
24	შპს „მამედ“	მარნეულის სოფ. ყიზილაჯლო	0(357) 22 61 57; 599 56 19 73; 592 35 03 55; mamed1947@mail.ru	საყოფაცხოვრებო - 1 700 000 არასაყოფაცხოვრებო - 500 000	საყოფაცხოვრებო - 26.865-35.339 არასაყოფაცხოვრებო - 76.017

* - თუ ბუნებრივი გაზის მიმწოდებელი ეწვეა ბუნებრივი გაზის განაწილების საქმიანობასაც, მომხმარებელს დაეკისრება შესაბამისი განაწილების ლიცენზიატისთვის დადგენილი განაწილების ტარიფი, ხოლო თუ ბუნებრივი გაზის მიმწოდებელი და განაწილებელი სხვადასხვა პირია, მომხმარებელს დაეკისრება შესაბამისი განაწილების ლიცენზიატისთვის დადგენილი გატარების ტარიფი.
** - შეთავაზებული ბუნებრივი გაზის ღირებულებაში შედის ტრანსპორტირების მომსახურება (ტარიფი) გაზგანაწილებელ ქსელამდე (განაწილების ან/და გატარების მომსახურების

გარდა). მიმწოდებელს, რომელსაც თვითოეული კატეგორიისთვის შეთავაზებული აქვს ორი ფასი, ეს არის ზღვრული ფასები (ქვედა და ზედა ზღვარი) – ბუნებრივი გაზის განაწილების და გატარების ამჟამად მოქმედი ტარიფები დადგენილია კომისიის (სემეკის) 2005 წლის 30 დეკემბრის №30 დადგენილებით.
მიმწოდებელი ან განაწილებელი კომპანიის მხრიდან რაიმე სახის წინააღმდეგობის შემთხვევაში, მიმართეთ საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი მიცკევიძის ქ. №19 +995 032-2-42-01-80

ს.ს.ი.პ - ნიალის ეროვნული სააგენტოს განცხადება

სასარგებლო ნიალისეულის მოპოვების ლიცენზიის გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მარჯველი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

სასარგებლო ნიალისეულის მოპოვების ლიცენზიის გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მარჯველი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

ობიექტი №1	
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება	სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი 202 482 571
2	მისამართი/ტელეფონი ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57 ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14
3	ელ-ფოსტა info@nam.gov.ge
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა
8	აუქციონის საწყისი ფასი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (10 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დასრულების და დასრულების დრო და თარიღი
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი

13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	4 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განხორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში
ობიექტი №2		სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	202 482 571
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57 ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14
3	ელ-ფოსტა	info@nam.gov.ge
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	<p>ა) მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით;</p> <p>ბ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია გასცეს თანხმობა, სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო“-ს მიერ სალიცენზიო მიწის ნაკვეთის განკარგვის შემთხვევაში;</p> <p>გ) ლიცენზიის მფლობელმა მოქალაქეებს არ უნდა შეუზღუდოს სალიცენზიო ტერიტორიაზე გადაადგილების უფლება;</p> <p>დ) სალიცენზიო ობიექტის მიმდებარე ტერიტორიის გასხვისების შემთხვევაში, ლიცენზიის მფლობელი არ შეუზღუდავს აღნიშნული ტერიტორიის შესაყურეს ხელშეკრულებით განსაზღვრული სპრივატიზაციის პირობების შესრულების უზრუნველყოფას;</p> <p>ე) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირება განხორციელოს მარაგადახურული ავტომობილებით, ასევე დასახლებულ პუნქტებში სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირებისას უზრუნველყოს საავტომობილო გზის პერიოდული მორწყვა, რათა თავიდან იქნეს აცილებული მტკრის გაფრქვევა დასახლებულ პუნქტებში;</p> <p>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია არ დააზიანოს შიდა სასოფლო გზები, ხოლო დაზიანების შემთხვევაში მოახდინოს მისი აღდგენა-რეაბილიტაცია;</p> <p>ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს სალიცენზიო მიწის ნაკვეთზე დაზიანებული ნიადაგის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) რეკულტივაციის ღონისძიებების ჩატარება;</p> <p>თ) ექსპლუატაციის დროს მეწყრული პროცესების გააქტიურების დროს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა მოხდეს საშუალოების შეჩერება, სათანადო ღონისძიებების დასახვა და განხორციელება;</p> <p>ი) ობიექტის დამუშავება უნდა მოხდეს ქვეყანაში მოქმედი საბაზისური საქმისთვის მიღებული ტექნიკური უსაფრთხოების ნორმების და წესების დაცვით;</p> <p>კ) ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა და ფუჭი ქანი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის რეკულტივაციის მიზნით მისი შემდგომი გამოყენებისათვის;</p> <p>ლ) ლიცენზიის მფლობელს წიაღისეულის მოპოვების პერიოდში ეკრძალება გზის გვერდულზე მასალის დასაწყობება, სამშენებლო ნარჩენების დაყრა, მანქანა-მექანიზმების გაჩერება და დგომა;</p> <p>მ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია წიაღისეულის სარგებლობის განხორციელებისას გეოინჟინერიის სიტუაციის გართულების (ასეთის არსებობის) შემთხვევაში შეასრულოს უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს შესაბამისი მითითებები;</p> <p>ნ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“ და „წიაღის შესახებ“, საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოს.</p> <p>ო) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).</p> <p>პ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.</p>
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	ონის მუნიციპალიტეტში, სოფ. კომანდელის მიმდებარე ტერიტორიაზე, მდ. რიონის კვიშა-ხრემის გამოვლინება, (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 56 400 მ ³).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	ონის მუნიციპალიტეტი, სოფ. კომანდელის მიმდებარე ტერიტორია

8	აუქციონის საწყისი ფასი	40 255 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	4025.5 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (10 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	4 226 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2018 წლის 10 სექტემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2018 წლის 8 ოქტომბერს დღის 18:00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2018 წლის 8 ოქტომბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2018 წლის 8 ოქტომბერს დღის 18:00 საათზე
13	სარეგლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	4 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში
ობიექტი №3		
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	202 482 571
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57 ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14
3	ელ-ფოსტა	info@nam.gov.ge
4	სარეგლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	<p>ა) მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით;</p> <p>ბ) მოპოვება უნდა განხორციელდეს მდინარის კალაპოტის გასწორებაზე მდინარის მარჯვენა სანაპიროს მხარეს მდებარე ტერიტორიაზე;</p> <p>გ) გეოდეზიკური სიტუაციის გართულების თავიდან აცილების მიზნით ობიექტის მიერ ფართობზე წელიწადში კვირა-ხრემის მოპოვების სიღრმე (სიმაღლე) არ უნდა აღემატებოდეს 1.5 მ-ს;</p> <p>დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია არ დააზიანოს სალიცენზიო ობიექტიდან 330 და 890 მეტრში ფიქსირებული მუნიციპალიტეტის ბაღანაზე არსებული ხიდი, ხოლო დაზიანების შემთხვევაში მოახდინოს მისი აღდგენა-რეაბილიტაცია;</p> <p>ე) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირება განახორციელოს მარაგადახურული ავტომობილებით, ასევე დასახლებულ პუნქტებში სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირებისას უზრუნველყოს საავტომობილო გზის პერიოდული მორწყვა, რათა თავიდან იქნეს აცილებული მტვრის გაფრქვევა დასახლებულ პუნქტებში;</p> <p>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია არ დააზიანოს შიდა სასოფლო გზები, ხოლო დაზიანების შემთხვევაში მოახდინოს მისი აღდგენა-რეაბილიტაცია;</p> <p>ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს სალიცენზიო მიწის ნაკვეთზე დაზიანებული ნიადაგის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) რეკულტივაციის ღონისძიებების ჩატარება;</p> <p>თ) ექსპლუატაციის დროს მეწყრული პროცესების გააქტიურების დროს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა მოხდეს სამუშაოების შეჩერება, სათანადო ღონისძიებების დასახვა და განხორციელება;</p> <p>ი) ობიექტის დამუშავება უნდა მოხდეს ქვეყანაში მოქმედი სამთო საქმისთვის მიღებული ტექნიკური უსაფრთხოების ნორმების და წესების დაცვით;</p> <p>კ) ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა და ფუჭი ქანი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის რეკულტივაციის მიზნით მისი შემდგომი გამოყენებისათვის;</p> <p>ლ) ლიცენზიის მფლობელს წიაღისეულის მოპოვების პერიოდში ეკრძალება გზის გვერდულზე მასალის დასაწყობება, სამშენებლო ნარჩენების დაყრა, მანქანა-მექანიზმების გაჩერება და დგომა;</p> <p>მ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია წიაღისარგებლობის განხორციელებისას გეოდეზიკური სიტუაციის გართულების (ასეთის არსებობის) შემთხვევაში შეასრულოს უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს შესაბამისი მითითებები;</p> <p>ნ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", "ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და "წიაღის შესახებ", საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, "წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოს;</p> <p>ო) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით);</p> <p>პ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.</p>

6	სარეგლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	ვაზბეგის მუნიციპალიტეტში, სოფ. კობის მიმდებარე ტერიტორიაზე, მდ. თერგზე, „კობის“ კვიპა-ხრემის საბადო და მიმდებარე ტერიტორია (კატეგორია - C1+P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 104 970 მ ³).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	ვაზბეგის მუნიციპალიტეტი, სოფ. კობის მიმდებარე ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	70 375 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	7 037.5 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (10 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	7 238 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2018 წლის 10 სექტემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2018 წლის 8 ოქტომბერს დღის 18:00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2018 წლის 8 ოქტომბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2018 წლის 8 ოქტომბერს დღის 18:00 საათზე
13	სარეგლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	5 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში
ობიექტი №4		
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	202 482 571
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57 ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14
3	ელ-ფოსტა	info@nam.gov.ge
4	სარეგლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	<p>ა) მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის დამუშავების ტექნოლოგიური სქემის მიხედვით;</p> <p>ბ) მოპოვება უნდა განხორციელდეს მდინარის კალაპოტის გასწორებაზე მდინარის მარჯვენა სანაპიროს მხარეს მდებარე ტერიტორიაზე;</p> <p>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირება განახორციელოს მარაგადახურული ავტომობილებით, ასევე დასახლებულ პუნქტებში სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირებისას უზრუნველყოს საავტომობილო გზის პერიოდული მორწყვა, რათა თავიდან იქნეს აცილებული მტვრის გაფრქვევა დასახლებულ პუნქტებში;</p> <p>დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია არ დააზიანოს შიდა სასოფლო გზები, ხოლო დაზიანების შემთხვევაში მოახდინოს მისი აღდგენა-რეაბილიტაცია;</p> <p>ე) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს სალიცენზიო მიწის ნაკვეთზე დაზიანებული ნიადაგის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) რეკულტივაციის ღონისძიებების ჩატარება;</p> <p>ვ) ექსპლუატაციის დროს მეწყრული პროცესების გააქტიურების დროს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა მოხდეს სამუშაოების შეჩერება, სათანადო ღონისძიებების დასახვა და განხორციელება;</p> <p>ზ) ობიექტის დამუშავება უნდა მოხდეს ქვეყანაში მოქმედი სამთო საქმისთვის მიღებული ტექნიკური უსაფრთხოების ნორმების და წესების დაცვით;</p> <p>თ) ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა და ფუჭი ქანი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის რეკულტივაციის მიზნით მისი შემდგომი გამოყენებისათვის;</p> <p>ი) ლიცენზიის მფლობელს წიაღისეულის მოპოვების პერიოდში ეკრძალება გზის გვერდულზე მასალის დასაწყობება, სამშენებლო ნარჩენების დაყრა, მანქანა-მექანიზმების გაჩერება და დგომა;</p> <p>კ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია წიაღისარგებლობის განხორციელებისას გეოდეზიკური სიტუაციის გართულების (ასეთის არსებობის) შემთხვევაში შეასრულოს უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს შესაბამისი მითითებები;</p> <p>ლ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", "ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და "წიაღის შესახებ", საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, "წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოს;</p> <p>მ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით);</p> <p>ნ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.</p>
6	სარგებლობის ლიცენზიის	თელავის მუნიციპალიტეტში, სოფ. ვარდისუნის მიმდებარე

	კონკრეტული ობიექტი	ტერიტორიაზე, „თურდოსხევი I“-ის ქვიშა-ბრემის საბადო (კატეგორია - C1+P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 4 458 მ ³).
7	სალიცენზიის ობიექტის ადგილმდებარეობა	თელავის მუნიციპალიტეტი, სოფ. ვარდისუბნის მიმდებარე ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	3 877 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	387.7 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (10 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	588 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწესების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2018 წლის 10 სექტემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2018 წლის 8 ოქტომბერს დღის 18:00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2018 წლის 8 ოქტომბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2018 წლის 8 ოქტომბერს დღის 18:00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	1 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

ობიექტი №5

ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება	სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტო	
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	202 482 571
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57 ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14
3	ელ-ფოსტა	info@nam.gov.ge
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია

